

## მონაცემთა კონფიდენციალობის შეტყობინება ბოშის (BOSCH) ჯგუფის კომპანიებში პერსონალის მართვის პროცესის შესახებ

### გვსურს, რომ იყოთ ჩვენი გუნდის წევრი

კონფიდენციალობის შესახებ წინამდებარე შეტყობინებით გაცნობებთ, თუ როგორ მუშავდება თქვენი პერსონალური მონაცემები ბოშის ჯგუფის კომპანიებში პერსონალის შერჩევის პროცესის დროს. ასევე, ინფორმაციას გაწვდით მონაცემთა კონფიდენციალობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თქვენი უფლებების შესახებ. პერსონალური მონაცემები მოიცავს ყველა იმ მონაცემს, რომელიც მიუთითებს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირზე, როგორც არის დაბადების თარიღი, მისამართი ან ანგარიშგაქტურის მონაცემები, ასევე მათ ვინაობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

პერსონალის შერჩევის სისტემაში თქვენს მიერ შეყვანილი პერსონალური მონაცემები დამუშავდება ბოშის ჯგუფის შესაბამისი იურიდიული პირების მიერ თქვენი განაცხადის დამუშავებისა და ბოშის ჯგუფში შემავალ რომელიმე კომპანიაში ვაკანტური პოზიციების შევსების მიზნით.

ბოშის ჯგუფში, ვაკანსიების შევსების პროცესში ჩართულია ადამიანური მართვის დეპარტამენტების რამდენიმე წევრი შესაბამის მენეჯერებთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში, პერსონალის დაკომპლექტების პროცესზე პასუხისმგებელი შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლები. ვინაიდან, აღნიშნული პირები შესაძლოა წარმოადგენდნენ ბოშის ჯგუფის სხვადასხვა კომპანიებს, თქვენი მონაცემები შესაძლოა გაიცვალოს ბოშის ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

### ბოში იცავს და პატივს სცემს თქვენს კონფიდენციალურ ინფორმაციას

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვა და ჩვენი ყველა კომერციული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. პერსონალური მონაცემები, რომელიც შეგროვებულია თქვენს მიერ განაცხადის ინტერნეტით მიწოდების დროს, მიიჩნევა მკაცრად კონფიდენციალურად საკანონმდებლო დებულებების შესაბამისად.

მონაცემთა კონფიდენციალობა და ინფორმაციის უსაფრთხოება წარმოადგენს ჩვენი კომპანიის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს.

### მონაცემთა კონტროლიორის და მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემები

ბოშის ჯგუფის იურიდიული პირი, რომელსაც უგზავნით განაცხადს, პასუხისმგებელია თქვენი მონაცემების . საკონტაქტო მონაცემები ბოში ჯგუფის საქართველოსი :

შპს რობერტ ბოში, თბილისი, აღმაშენებლის გამზირი # 61 ,0102

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მონაცემთა დაცვის ოფიცრის სერგეი მაკაროვის საკონტაქტო დეტალები (კორპორატიულ მონაცემთა კონფიდენციალობა და ინფორმაციის უსაფრთხოება):

ბ-ნი სერგეი მაკაროვი  
ჯგუფის მონაცემთა დაცვის ოფიცერი  
შპს რობერტ ბოში  
141400 ხიმკი,  
ვაშუტინსკოე # 24  
რუსეთის ფედერაცია  
ან

ელ-ფოსტა: [RBRU.DSO.Privacy@bosch.com](mailto:RBRU.DSO.Privacy@bosch.com).

თქვენ უფლებების დასაცავად ან მონაცემთა დაცვის შემთხვევის შესატყობინებლად, გამოიყენეთ შემდეგი ბმული:

<http://www.bkms-system.net/bosch-datenschutz>

### **განცხადების წარდგენა პორტალზე რეკლამირებულ პოზიციებზე.**

კომპანია „ბოში“ სამუშაო განაცხადის წარსადგენად ყველაზე ადვილი გზა არის ჩვენს სამუშაო პორტალზე გამოცხადებულ პოზიციაზე პირდაპირი განაცხადის გაგზავნა. თქვენი განაცხადი შეფასდება კომპანიის შიდა პროცედურების შესაბამისად.

პერსონალის შერჩევის სისტემაში ნაბეჭდი განაცხადების შეტანა ხდება ხელით, ხოლო შემდეგ ან გიბრუნდებათ უკან ან ნადგურდება. თქვენ მიიღებთ ელექტრონულ შეტყობინებას, რომლითაც შეგეძლება თქვენი განაცხადის გააქტიურება სისტემაში მისი ხელით შეყვანისთანავე. თუ განაცხადს არ გააქტიურებთ 30 დღის განმავლობაში, თქვენი მონაცემები პერსონალის შერჩევის სისტემიდან წაიშლება და თქვენ ამოღებული იქნებით შერჩევის პროცესიდან.

ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი საკუთარი პირადი ქსელი და განაცხადი წარადგინოთ ბოშის ჯგუფის თანამშრომლის მეშვეობით. უბრალოდ თქვენი რეზიუმე გაუგზავნეთ თანამშრომელს, რომელიც განაცხადს ატვირთავს პერსონალის შერჩევის სისტემაში. ამის შემდეგ თქვენ მიიღებთ ელექტრონულ შეტყობინებას, რომლითაც შეგეძლება თქვენი განაცხადის გააქტიურება. თუ განაცხადს არ გააქტიურებთ 30 დღის განმავლობაში, თქვენი მონაცემები პერსონალის შერჩევის სისტემიდან წაიშლება და თქვენ ამოღებული იქნებით შერჩევის პროცესიდან. შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ბოშის თანამშრომელმა რეკომენდაცია მოგცათ თქვენ. აღნიშნულ თანამშრომელს შეუძლია მხოლოდ თქვენი განაცხადის სტატუსის ნახვა, თუმცა არ შეუძლია სხვა ისეთი დეტალების ნახვა, რომელიც უკავშირდება თქვენი განაცხადის დამუშავების პროცესს.

ჩვენ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მუდმივად მოგაწვდით ინფორმაციას თქვენი განაცხადის სტატუსთან დაკავშირებით. თქვენ შეგიძლიათ შეასწოროთ მონაცემები ან გააუქმოთ განაცხადი განაცხადის დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე. ამისთვის თქვენ დაგჭირდებათ SmartRecruiters-ის პროფილი, რომლის შექმნა შესაძლებელია SmartRecruiters-ის ვებგვერდზე.

განაცხადის განხილვის პროცესის განმავლობაში, ელ-ფოსტით გეცნობებათ სხვა ვაკანსიების შესახებ, რომელმაც შესაძლოა დაგაინტერესოთ. საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლია შემოგთავაზოთ ბოშის აპლიკანტთა ჯგუფში წევრობა.

### **ბოშის აპლიკანტთა ჯგუფში წევრობა**

თუ თქვენ მოგიწიეს ბოშის აპლიკანტთა ჯგუფში გასაწევრიანებლად, შეგიძლიათ თქვენი პერსონალური მონაცემები გამოაქვეყნოთ ბოშის ჯგუფის ყველა HR დეპარტამენტში. თქვენ შეგიძლიათ დაეთანხმოდით ან არ დაეთანხმოდით ამ ჯგუფში მოწვევას. დათანხმების შემთხვევაში, შეგვეძლება მოგაწოდოთ ინფორმაცია შემდგომი ვაკანსიების შესახებ, ხოლო თქვენი პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი გახდება ამ ვაკანსიების მიზნებისთვის. როგორც წევრს, ასევე შესაძლებლობა გექნებათ პირდაპირ დაუკავშირდეთ ადამიანური რესურსების მენეჯერებს და მიიღოთ პერსონალის შერჩევის სფეროში არსებული მარკეტინგული ინფორმაცია და ღონისძიებებზე მიწვევები. ბოშის აპლიკანტთა ჯგუფში არსებული თქვენი პროფილის წაშლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

### **დამუშავებული მონაცემების კატეგორიები**

დამუშავებული პერსონალური მონაცემების ძირითადი კატეგორიებია:

- ძირითადი მონაცემები (მაგ: სახელი, დაბადების თარიღი, ეროვნება, საცხოვრებელი ადგილი)
- დოკუმენტები (მაგ: რეკომენდაციები, სერტიფიკატები, რეზიუმეები)
- მეზავრობის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნები (მაგ. საბანკო ანგარიშის მონაცემები)
- საკომუნიკაციო მონაცემები (მაგ. ელ-ფოსტის მისამართი, მობ. ტელეფონის ნომერი, IT მომხმარებლის იდენტიფიკატორი, აუდიო და ფირზე ჩანაწერები).
- IT სისტემების გამოყენებისას აღრიცხული ჟურნალის მონაცემები

დამუშავებული პერსონალური მონაცემები ასევე შესაძლოა მოიცავდეს სპეციალურ კატეგორიებს როგორც არის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები.

## პერსონალური მონაცემების წყაროები

როგორც წესი, თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება ხდება უშუალოდ თქვენგან აპლიკაციის განხილვის პროცესში.

განსაკუთრებულად სენსიტიური პოზიციების შევსებისას, შესაძლოა საჭირო გახდეს თქვენი განაცხადისა და ბიოგრაფიული მონაცემების დამატებით შემოწმება. შემოწმების შედეგები დოკუმენტურად აისახება პერსონალის შერჩევის სისტემაში. ბიოგრაფიული მონაცემების შემოწმების საჭიროებისას, აღნიშნული ინფორმაცია ნათლად იქნება მითითებული დასაქმების შესახებ განცხადებაში. შემოწმებები ტარდება ადგილობრივი ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად. ამ მიზნით გამოიყენება მხოლოდ სათანადოდ შერჩეული სერვის პროვაიდერები.

მენეჯერების თანაშემწის პროგრამასთან დაკავშირებული განაცხადის განხილვის პროცესი შესაძლოა ითვალისწინებდეს აუდიო და ვიდეო ჩანაწერების წარმოდგენას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ნათლად უნდა იქნას მითითებული დასაქმების შესახებ განცხადებაში. ამ მიზნით გამოიყენება მხოლოდ სათანადოდ შერჩეული სერვის პროვაიდერები.

## მონაცემთა გადაცემა შერჩევის შემდეგ

მითითებულ პოზიციაზე თქვენი შერჩევის შემთხვევაში, პერსონალის შერჩევის სისტემიდან თქვენი მონაცემები გადაეცემა HR-ის ადმინისტრირების სისტემებს, სადაც შენახული იქნება თანამშრომლის შესახებ მონაცემების სტატუსით და დამუშავდება შესაბამისად.

## დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები

ჩვენ და ჩვენს მიერ დაქირავებული გარეშე მომსახურების პროვაიდერები თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR), მონაცემთა კონფიდენციალობის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობების და სხვა ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, თქვენი მონაცემები მუშავდება პერსონალის შერჩევის პროცესში, ბოშის ჯგუფის იურიდიულ პირთან შრომითი ურთიერთობის მომზადების ფარგლებში.

ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს GDPR-ის მე-6 მუხლი, პუნქტი 1(ბ) („კონტრაქტის გაფორმებამდე მონაცემთა სუბიექტის (ამ შემთხვევაში აპლიკანტის) მოთხოვნით ზომების მიღება“). სხვა სამართლებრივი საფუძვლებია:

- GDPR-ის მე-6 მუხლი, პუნქტი 1(ა) (თანხმობა) მაგ: ბოშის აპლიკანტთა ჯგუფისთვის, პერსონალის შერჩევის სიტემის ფარგლებში

- GDPR-ის მე-6 მუხლი, პუნქტი 1(ვ) („კანონიერი ინტერესები“): მაგ. HR შეფასებებისთვის (კონტროლი, ანალიტიკური ანგარიშგება).
- 

### **მონაცემთა სპეციალური კატეგორიები**

GDPR-ის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად პერსონალურ მონაცემთა სპეციალური კატეგორიების (მაგ. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები) დამუშავების შემთხვევაში, დამუშავება ხორციელდება GDPR-ის მე-9 მუხლის 2(ბ) პუნქტის შესაბამისად. გარდა ამისა, შესაძლოა აუცილებელი იყოს ამ მონაცემების დამუშავება იმისთვის, რომ შეფასდეს თქვენი მუშაობის უნარი GDPR-ის მე-9 მუხლის 2(თ) პუნქტის შესაბამისად.

### **მონაცემთა გამჟღავნება**

ბოშის ჯგუფის იმ იურიდიული პირის ფარგლებში, სადაც განცხადება წარადგინეთ, თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა იქნება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ განაცხადის განხილვის პროცესში (მაგ: დაკომპლექტების დეპარტამენტის ხაზოვანი მენეჯერები და თანაშემწეები, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის თანამშრომლები და მათი წარმომადგენლები). ასევე, თქვენი განაცხადის მონაცემები შესაძლებელია გამჟღავნებული იქნას სხვა პირებისთვის, თუ კომპანია ბოშის ფარგლებში სხვა ვაკანტური პოზიციისთვის შესაფერისად ჩათვლებით. აღნიშნულის შესახებ გეცნობებათ ელ-ფოსტით, ხოლო ახალი განაცხადის გასააქტიურებლად საჭიროა თქვენი თანხმობა.

თქვენს შესახებ პერსონალურ მონაცემებს გავუმჟღავნებთ მონაცემთა სხვა კონტროლიორს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია თვითონ განაცხადის მიზნით, თუ ჩვენ ან მესამე მხარეს ასეთი გამჟღავნების კანონიერი ინტერესი გაგვაჩნია ან თუ თქვენ აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგენთ თანხმობას. სამართლებრივი საფუძვლების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ „დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლების“ ნაწილში. ბოშის ჯგუფის სხვა იურიდიული პირები შესაძლოა ასევე განისაზღვროს მესამე მხარეებად. კანონიერი უფლების საფუძველზე მესამე მხარეებისთვის მონაცემების გამჟღავნების შემთხვევები დასაბუთებული უნდა იქნას მონაცემთა კონფიდენციალობის შესახებ განცხადებაში. გარკვეულ შემთხვევებში, ასევე ვსარგებლობთ სხვადასხვა პროვაიდერის მომსახურებით იმისთვის, რომ შევასრულოთ საკონტრაქტო და/ან საკანონმდებლო ვალდებულებები. ასეთი კონტრაქტორების და მომსახურების პროვაიდერების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ „კონტრაქტორების და მომსახურების პროვაიდერების (მონაცემთა დამმუშავებლების)“ ნაწილში. გარდა ამისა, თქვენი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება შეგიძლია ბოშის ჯგუფის ფარგლებს გარეთ სხვა მიმღებებისთვისაც იმ პირობით, თუ ეს აუცილებელია საკონტრაქტო და/ან საკანონმდებლო ვალდებულებების შესასრულებლად.

**კონტრაქტორების და მომსახურების პროვაიდერების (მონაცემთა დამმუშავებლები)**

ჩვენ ყურადღებით შევარჩიეთ ჩვენი მომსახურების პროვაიდერები და რეგულარულად ვახორციელებთ მათ მონიტორინგს, კერძოდ, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ისინი თქვენი პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვას და ინახავენ თუ არა მათ უსაფრთხოდ. მომსახურების პროვაიდერები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობა და შეასრულონ საკანონმდებლო რეგულაციები. ბოშის ჯგუფის სხვა იურიდიულ პირები შესაძლოა ასევე განისაზღვროს მომსახურების პროვაიდერებად.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მითითებულია ის კონტრაქტორები და მომსახურების პროვაიდერები, რომლებთანაც ამჟამად გვაქვს საქმიანი ურთიერთობა:

მომსახურების პროვაიდერები	დამმუშავების ტიპი
SmartRecruiters GmbH Dircksenstrasse 47 10178 ბერლინი გერმანია SmartRecruiters SP.Z.o.o Fabryczna 20, 31-553 კრაკოვი, პოლონეთი SmartRecruiters Inc 225 Bush street, სან-ფრანცისკო კალიფორნია 94101, აშშ	„ქლაუდ“ პლატფორმის (პროგრამული უზრუნველყოფა როგორც მომსახურება) უზრუნველყოფა და შემუშავება ზემოაღნიშნული დამმუშავების მიზნით მიწოდებული პერსონალური მონაცემების დამმუშავება
Amazon Web Services Inc. 10 Terry Avenue ჩრდ. სიეტლი, ვაშინგტონი, 98109-5210, აშშ	„ქლაუდ“ პლატფორმის (პლატფორმა როგორც მომსახურება) ტექნიკური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და ფუნქციონირება
SendGrid Inc. 1801 კალიფორნიის ქ., ოთახი 500 დენვერი, კოლორადო, 80202, აშშ	ბოშსა და აპლიკანტს შორის ელექტრონული კომუნიკაციების დამმუშავება
LLC “New Information Systems” 1st Mozhayskiy tupik, 8, bld. A-1 121059, მოსკოვი, რუსეთი	პერსონალური მონაცემების დამმუშავება ვიდეო ინტერვიუებიდან/შერჩევის პროცესი

**ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ მყოფი მიმღებებისთვის გამჟღავნება**

თქვენს შესახებ პერსონალურ მონაცემებს გავუმჟღავნებთ ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) ფარგლებს გარეთ არსებულ კონტრაქტორებს, მომსახურების პროვაიდერებს ან ჯგუფის კომპანიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკომისიის მიერ დადასტურებულია, რომ ასეთი მესამე ქვეყანას გააჩნია მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის სათანადო დონე ან თუ არსებობს/მოქმედებს მონაცემთა დაცვის სხვა სათანადო გარანტიები (მაგ. სავალდებულოდ შესასრულებელი

კორპორატიული რეგულაციები მონაცემთა კონფიდენციალობის შესახებ ან ევროკავშირის სტანდარტული სახელშეკრულებო მუხლები).

მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენ მოგაწვდით მესამე ქვენებში ინფორმაციის მიმღებების ჩამონათვალს და იმ კონკრეტულად შეთანხმებული რეგულაციების ასლს, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის სათანადო დონეს. ამ მიზნით საკონტაქტო მონაცემების ნახვა შესაძლებელია ზემოთ, „მონაცემთა კონტროლიორის და მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემების პუნქტში.

### **მონაცემთა შენახვის ხანგრძლივობა**

თქვენი პერსონალური მონაცემები წაიშლება მას შემდეგ, როგორც კი აღარ იქნება საჭირო ზემოაღნიშნული მიზნებისთვის ან აღარ გვექნება მათი შენახვის კანონიერი უფლება. განაცხადის განხილვის პროცესის დასრულების შემდეგ, მოხდება თქვენი პერსონალური მონაცემების შენახვა, თუ ასეთი შენახვის ვალდებულება გვაქვს ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე. ასევე, თქვენი პერსონალური მონაცემების შენახვა შესაძლებელია იმ პერიოდით, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ჩვენს წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა. თუ თქვენ ხართ ბომის აპლიკანტთა რომელიმე ჯგუფის წევრი, თქვენ თავად შეგიძლიათ თქვენი პროფილის წაშლა ნებისმიერ დროს.

### **უსაფრთხოება მონაცემთა დამუშავების დროს**

იმისთვის, რომ ვუზრუნველყოთ უსაფრთხოების სათანადო დონე და დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები უკანონო ან გაუთვალისწინებელი განადგურების, მანიპულაციის, დაკარგვის, შეცვლის ან გამჟღავნების ან მესამე მხარეთა მიერ უნებართვო წვდომის რისკებისგან, ჩვენ ვიღებთ აუცილებელ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს. მუდმივად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენი უსაფრთხოების ზომები და ვუპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს.

### **მომხმარებელთა უფლებები**

თუ გასურთ განაცხადოთ რომელიმე თქვენი უფლების შესახებ, გთხოვთ იხილოთ საკონტაქტო მონაცემების პუნქტი. დაკავშირების დროს, გთხოვთ უზრუნველყოთ, რომ თქვენი იდენტიფიცირება შესაძლებელი იყოს ინდივიდუალურად.

### **წვდომის უფლება:**

თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ინფორმაცია თქვენი მონაცემების დამუშავების შესახებ. შეგიძლიათ დაიცვათ წვდომის უფლება ჩვენს მიერ დამუშავებულ თქვენს პერსონალურ მონაცემთან დაკავშირებით.

## **შესწორების ან წაშლის უფლება**

თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ არასწორი მონაცემების შესწორება, მათი შევსება ან წაშლა იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

აღნიშნული არ ვრცელდება იმ მონაცემებზე, რომელიც საჭიროა ანგარიშფაქტურის გამოწერისთვის ან ბუღალტრული აღრიცხვისთვის ან რომლებიც ექვემდებარება კანონით დადგენილ მონაცემთა შენახვის ვადებს. თუ ასეთ მონაცემებზე წვდომა არ არის მოთხოვნილი, მონაცემთა დამუშავება შეიზღუდება (იხილეთ ქვემოთ).

### **დამუშავების შეზღუდვა:**

იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო მოთხოვნები შესრულებულია, შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი მონაცემების დამუშავების შეზღუდვა.

### **მონაცემთა დამუშავებაზე უარი**

თქვენ ასევე უფლებამოსილი ხართ ნებისმიერ დროს თქვათ უარი თქვენი მონაცემების დამუშავებაზე. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ შევწყვეტთ თქვენს შესახებ მონაცემების დამუშავებას, თუ კანონიერი დებულებების შესაბამისად, ვერ შევძლებთ მყარი კანონიერი საფუძვლის ჩვენებას, რომლითაც შეგვეძლება მონაცემთა დამუშავების გაგრძელება, რომელიც გადაწონის თქვენს ინტერესებს.

### **მონაცემთა დამუშავებაზე უარი „კანონიერი უფლების“ შემთხვევებში**

თქვენ ასევე უფლებამოსილი ხართ ნებისმიერ დროს თქვათ უარი თქვენი მონაცემების დამუშავებაზე კანონიერი მოთხოვნის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, შევწყვეტთ თქვენს შესახებ მონაცემების დამუშავებას, თუ კანონიერი დებულებების შესაბამისად, ვერ შევძლებთ მყარი კანონიერი საფუძვლის წარმოდგენას, რომლითაც შეგვეძლება მონაცემთა დამუშავების გაგრძელება, რომელიც გადაწონის თქვენს ინტერესებს.

### **თანხმობის უკან გახმობა**

თუ თქვენ მოგვაწოდეთ მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გააუქმოთ ასეთი თანხმობა მომავალში. ეს გავლენას არ მოახდენს თანხმობის გაუქმებამდე თქვენი მონაცემების ჩვენს მიერ დამუშავების კანონიერებაზე. თანხმობის უკან გახმობასათვის გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მოთხოვნა : [TalentHubSupport@ru.bosch.com](mailto:TalentHubSupport@ru.bosch.com)

### **მონაცემთა გადაცემა**

თქვენ ასევე უფლება გაქვთ მიიღოთ მონაცემები ჩვენგან სტრუქტურირებულ საყოველთაოდ გამოყენებულ და კომპიუტერულ ფორმატში და/ან თუ ტექნიკურად შესაძლებელი იქნება მოითხოვოთ მონაცემების გადაცემა მესამე მხარისთვის.



## საჩივრის წარდგენის უფლება მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის ორგანოსთვის

თქვენ ასევე უფლება გაქვთ საჩივარი წარადგინოთ მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის ორგანოში, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია თქვენს ტერიტორიაზე ან მოქმედებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ან მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ბოშის ჯგუფის კომპანიებზე.

ბოშის ჯგუფის კომპანიებზე პასუხისმგებელი მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის ორგანო არის:

ოფისის მისამართი:

Königstrasse 10a

70173 შტუტგარტი, გერმანია

საფოსტო მისამართი

საფოსტო ყუთი 10 29 32

70025 შტუტგარტი, გერმანია

ტელ: +49 (0) 711/615541-0

ფაქსი: +49 (0) 711/615541-15

ელ-ფოსტა: [POSTSTELLE@fdl.de](mailto:POSTSTELLE@fdl.de)